N 19-10-2211
15/11/2019

2211-შ-19-10-3-201911151700

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული
კომისიის თავმჯდომარეს,
ბატონ კახი ბექაურს

ამავე კომისიის ადმინისტრაციის საფინანსო-საბიუჯეტო
ჯგუფის უფროსის
ნათია დევდარიანის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო კახი,

მოგახსენებთ, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მცდელობის მიუხედავად შპს "სატელიტ პლიუსს“ (ს/კ-405178203) ვერ ჩაბარდა კომისიის 2019 წლის 12 სექტემბრის Nგ-19-18/517 გადაწყვეტილება - (შპს „სატელი პლიუსისთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე). შესაბამისად, კომისიის გადაწყვეტილების ძალაში შესვლის მიზნით აღნიშნული გადაწყვტილების დამოწმებული ასლი საჯაროდ გამოქვეყნდა კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე 2019 წლის 29 ოქტომბერს და გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის საჯაროდ გამოქვეყნების შემდეგაც, გადაწყვეტილების მე-2 პუნქტით დაკისრებული ვალდებულება არ შეუსრულებია, კერძოდ:.

2. შპს „სატელიტ პლიუს“ დაევალოს 10 დღის ვადაში 2019 წლის მაისის, ივნისის და ივლისის თვეების სტატისტიკური ანგარიშგების და რეგულირების საფასურის გაანგარიშების ფორმების წარმოდგენა.

> დღეის მდგომარეობით *შპს „სატელიტ პლიუსს“* წარმოსადგენი აქვს გარდა ზემოაღნიშნული თვეებისა 2019 წლის აგვისტოს და სექტემბრის თვის რეგულირების საფასურის გაანგარიშების 1,9 ფორმები და გაანგარიშების 1,9 ფორმების წარმოუდგენლობის გამო რეგულირების საფასურის დავალიანება ვერ დგინდება.

ასევე, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მცდელობის მიუხედავად შპს "პოვერნეტს“ (ს/კ-400157557) ვერ ჩაბარდა კომისიის 2019 წლის 06 ივნისის Nგ-19-18/342 გადაწყვეტილება - (შპს „პოვერნეტისთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე). შესაბამისად, კომისიის გადაწყვეტილების ძალაში შესვლის მიზნით აღნიშნული გადაწყვტილების დამოწმებული ასლი საჯაროდ გამოქვეყნდა კომისიის ოფიციალურ ვებ-გვერდზე 2019 წლის 29 ოქტომბერს და გადაწყვეტილების დამოწმებული ასლის საჯაროდ გამოქვეყნების შემდეგაც,

გადაწყვეტილების მე-4 და მე-5 პუნქტებით დაკისრებული ვალდებულება არ შეუსრულებია, კერძოდ:

4. უზრუნველყოს შპს „პოვერნეტმა“ 10 სამუშაო დღის ვადაში 2018 წლის ოქტომბრის, ნოემბრის, დეკემბრის, 2019 წლის იანვრის, თებერვლის, მარტის და აპრილის თვეების რეგულირების საფასურის გაანგარიშებების (1.9 ფორმა) კომისიაში წარმოდგენა და მათ შესაბამისად რეგულირების საფასურის გადახდა;
5. უზრუნველყოს შპს „პოვერნეტმა“ 10 სამაუშაო დღის ვადაში რეგულირების საფასურის დავალიანების -19.80 ლარის გადახდა.

დღეის მდგომარეობით *შპს „პოვერნეტს“* წარმოსადგენი აქვს გარდა ზემოაღნიშნული თვეებისა 2019 წლის მაისის, ივნისის, ივლისის, აგვისტოს და სექტემბრის თვის რეგულირების საფასურის გაანგარიშების 1,9 ფორმები და გაანგარიშების 1,9 ფორმების წარმოუდგენლობის გამო რეგულირების საფასურის დავალიანება ვერ დგინდება.

გთხოვთ, წარმოდგენილი ინფორმაცია შემდგომი რეაგირებისთვის გადასცეთ კომისიის აპარატის სამართლებრივ დეპარტამენტს.

პატივისცემით,

ნათია დევდარიანი

საფინანსო-საბიუჯეტო ჯგუფის უფროსი
საფინანსო-საბიუჯეტო ჯგუფი